სანტექნიკური მოწყობილობების ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #1

ქ. თბილისი 05/04/2022

ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დიმიტრი დიკგაუტი.
სატენდერო კომისიის წევრები: ოლეგი გოგნაძე, ლევანი ბაკაშვილი.
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მაია ივანიშვილი.

დღის წესრიგი:

შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციის პროექტზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტით განსაზღვრულ პირობებზე.

იმსჯელეს:

1. სატენდერო კომისიის სხდომაზე იმსჯელეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე. აღინიშნა, რომ შპს ,,საქაერონავიგაციის" ტექნიკური უზრუნველყოგის განყოფილებამ შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოებისას ჩაატარა ბაზრის კვლევა. გამოყენებულ იქნა ელექტრონული კომუნიკაციის მეთოდი. ორ სავარაუდო მიმწოდებელს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა შეთავაზების წარმოდგენის მოთხოვნა, რომელსაც დაერთო ტექნიკური დავალება. მიღებულ იქნა ორი კომერციული წინადადება შემდეგი ღირებულებებით: 1. 14000 ლარი დღგ-ს ჩათვლით (თარიღი: 22.03.22 წ.); 2. 11368,50 ლარი დღგ-ს ჩათვლით (თარიღი: 23.03.22
2. წ.). ბაზრის გაფართოებული კვლევის მიზნით განცხადება განთავსებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზეც.

სატენდერო კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს შემოთავაზებული ფასების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით სანტექნიკური მოწყობილობების ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სახით (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15 მუხლი).

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის გამოცხადება (აუქციონის გარეშე) არაუგვიანეს მიმდინარე სამუშაო დღისა.
4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 10750 ლარით (დღგ-ს გარეშე).

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე	Dimitri Dickhaut	Digitally signed by Dimitri Dickhaut Date: 2022.04.05 13:20:58 +04'00'	დიმიტრი დიკგაუტი
სატენდერო კომისიის წევრი	Olegi Gognadze	Подписано цифровой подписью: Olegi Gognadze Дата: 2022.04.05 13:56:54 +04'00'	ოლეგი გოგნაძე
სატენდერო კომისიის წევრი	Levani Bakashvili	Digitally signed by Levani Bakashvili DN: cn=Levani Bakashvili, serialNumber=PNOGE-01019057552, givenName=Levani, sn=Bakashvili, o=Citizen, c=GE Date: 2022.04.05 13:48:08 +04'00'	ლევანი ბაკაშვილი
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი	Maia Ivanishvili	Digitally signed by Maia Ivanishvili Date: 2022.04.05 13:24:03 +04'00'	მაია ივანიშვილი